საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გიზო უბილავას კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისთვის გიზო უბილავას წარდგენის
შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (3 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირები, მათ შორის - **გიზო უბილავა**.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოვახდინე კანდიდატის შეფასება. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და თავად გიზო უბილავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ გიზო უბილავა სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის

კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „დ“ წერის უნარი; „ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი; „ზ“ პროფესიული თვისებები; „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ი“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, გიზო უბილავას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მივანიჭე 92 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის №1/23 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი, მათ შორის - გიზო უბილავა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა გიზო უბილავას პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამრიგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად გიზო უბილავას მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვასილ მშვენიერაძე

30 მაისი, 2024 წელი